№ 3 · 1877—1900 · № 3

ოთხშაბათი 5 იანვარი, 1900 წ.

# ივერია

**გაზეთის ფასი:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 0 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის" ტელეფონი № 227

რედაქცია: ნიკოლოზის ქუჩა, 21. ტფილისი.

**გაზეთის დასაბარებლად** და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიის

**ფასი განცხადებისა:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ, მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის" ტელეფონი № 227

## ქართული თეატრი

პარასკევს, 7 იანვარს, 1900 წ.

ბ ე ნ ე ფ ი ს ი

## ნ. მ. გაბუნია-ცაგარლისა

ქართულ დრამატიულ საზოგადოების არტისტებისაგან წარმოდგენილი იქნება:

პირველად განახლების შემდეგ

## კიდევ ერთი მსხვერპლი

კომედია 5 მოქმედ. თხზ. გ. სუნდუკიანცისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ.ქ. გაბუნია-ცაგარლისა, ჩერქეზიშვილისა, კარგარეთელი, ტასოაბაშიძე; ბ.ბ. აბაშიძე, ყიფიანი, მესხი, სვიმონიძე, გედევანოვი, შათირიშვილი, ალამიძე და სხვ.

ადგილებს ფასი ჩვეულებრივად.

დასაწყისი 8 საათზე.

რეჟისორნი **ვ. აბაშიძე** და **კ. მესხი.**

6 იანვარს 1900 წლს,

ტფილისის „კრუჟოკის" დარბაზში

**გამართული იქნება**

## ❀ ბალი ❀

ტფილისის სათავადაზნაურო სკოლის სასარგებლოდ.

ბილეთების ფასი 2 მ. 10 კ

დასაწყისი საღამოს 9 საათზედ.

ქალებთათვის გულ-ამოჭრილი კაბა სავალდებულო არ არის, სამხედრო წოდების კაცთათვის საპარადო ტანისამოსი, დანარჩენებისათვის ფრაკი და ნაციონალური ტანისამოსი

ბილეთები ისყიდება „კრუჟოკის" შვეცართან.

## პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**ბ. ა. ნავასარდიანი,** 11—12 საათ. სიფილისი-ტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

**უ. მ. ჩიქოვანი.** 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაგანასიანცი**—დილის 11—12 ს. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

**ი. ფ. პროტასევიჩი.** 12—1 ს. ყურისა, ყელისა, ცხვირისა და გულის ავადმყოფობისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი** 1—1½ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

**ა. გ. გურკო.** 1½—2 ს. შინაგანი და საშარდეს ავადმყოფობის.

საღამოობით:

**ი. ფ. პროტასევიჩი.** 5—6 საათ.

**ა. ნ. შპაკოვსკი.** 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპიისა) ვენერიულისა და კანის ავადმყოფობისა.

**ბ. ა. ნავასარდიანი.** 7—7½ საათ.

**ტ. ი. რუდენკო**—სამკურნალოში ჩამოიკვლევს ქიმიურად, მიკროსკოპიულად და ბაქტერიოლოგიურად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

**ო. ტ. არვანიტაკი**—გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს", აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმების დანიშვნით. მიმართონ 11—1 საათამდე.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана*.

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.

(—1—წ).

## ტფილისის კერძო სამკურნალო

მკურნალის

მიხეილ გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებენ ყოველდღე კვირა დღეების გარდა

დილით:

**ვ. ი. ჟიჟინაძე.**—გზილის სნეულებანი. 8—10 საათ.

**გ. გ. მაღალაშვილი**—შინაგანი—9—10 საათ.

**ნ. ტ. მულინი**—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—10½—12 საათ.

**ა. ნ. შატილოვი**—თვალისა 12—1 საათ.

**ნ. ზ. უმიკოვი.**—ბავშვებისა (ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით)—12—1 საათ.

**მ. ლ. მარკევიჩი**—12—1 საღოსტაქრო. სამშაბ. 3—4.

**ი. დ. ბეგთაბეგოვი**—სიფილისისა, კანისა და საშარდესი—1½—2 საათ.

**მ. ა. გედევანიშვილი**—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—1—2 საათ.

საღამოთი:

**დ. ა. გედევანიშვილი**—შინაგანი და ბავშვებისა—5—6 საათ.

**ი. ნ. თუმანიშვილი**—დედათა სნეულებანი—5—6 საათ.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები და კაბინეტი ბაქტერიოლოგიურ და მიკროსკოპიულ გამოკვლევათათვის.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ., დანარჩენი—მორიგებით.

კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ).

დირექტორი სამკურნალოსი **მ. ა. გედევანიშვილი**

## ახალი ამბავი

*** ტფილისის გუბერნატორს უთხოვნია კავკასიის მთავარ-მართებლისათვის მიეცეს ქ. ტფილისს საერო თანხიდგან 68 ათასი მან. ჯარისთვის ბინების დასაქირავებლადაო.

*** 1900 წელს გაწვეულ იქმნებიან სამხედრო ბეგარის მოსახდელად ის ყმაწვილი კაცნი, რომელნიც დაბადებულან 1878 წლის 1-ოქტომბერსა და 1879 წლის 1-ოქტომბერს შუა.

*** ტფილისის სასულიერო სემინარიის ინსპექტორი მ. დიმიტრი, როგორც ისმის, ორლოვის სემინარიის რექტორად გადაჰყავთ.

*** ტფილისის გუბერნიის საერო სასწავლებელთა ინსპექტორად ახლად დანიშნული ს. ს. პერევოზნიკოვი შეუდგა თავისის თანამდებობის ასრულებას.

*** ტფილისის გუბერნიის საგლეხო საქმეთა საკრებულოს 1 წევრად დ. ს. ს, აკიმოვის მაგივრად, ინიშნება კოლ. სოვ. ბარანოვსკი.

*** განზრახვა აქვთ ახალი წესრიგი შეიმუშაონ ამიერ-კავკასიის ვაჭარ მრეწველებზედ საერობო გარდასახადის გასაწერად.

*** საქმე თავ. შიო ტუსიშვილისა, ვლადიმირ ბარათაშვილისა, გიორგი ოსიტაშვილისა და ალექსანდრე ტერშმოვანოვისა, რომელთაც დავ. გაბაშვილის მოკვლა ჰბრალდებათ, ხელმეორედ განხილულ იქნება ტფილისის სამოსამართლო პალატაში 13 იანვარს.

*** 14 იანვრისათვის ტფილისის სასამართლოში დანიშნულია განსახილველად ტფილისის მოქალაქეთა გაბო გებუაძისა, მისის დედის ელისაბედ გებუაძისა და გიორგი ზახაროვის საქმე, რომელთაც ჰბრალდებათ ყალბის ვერცხლის მანეთიანის მოჭრა.

*** ტფილისის ცხენის რკინის გზის მეეტლეთა და კონდუქტორთა სამუშაო დროს განწესრიგების შესახებ რამდენჯერმე ალუძრავთ ლაპარაკი ადგილობრივს საბჭოში; ხოლო საბჭოს-მიერ ბელგიის საზოგადოებასთან „კონკის" წარმოების შესახებ დასადებ ხელშეკრულობის განხილვის დროს რამდენსამე ხმოსანს წინადადება მიუცია ხოლმე საბჭოსათვის, რომ ამ ხელშეკრულებაში შეტანილი ყოფილიყო მუხლი „კონკის" მოსამსახურეთა სამუშაო დროს 10—12 საათამდე შემცირების შესახებ, მაგრამ საბჭომ ეს საგანი გადაუწყვეტელი დასტოვა. ახლა ამ საქმემ ხელმეორედ იჩინა თავი, და მოსამსახურეთ სთხოვეს სათანადო დაწესებულებას სამუშაო საათების რიცხვის შემცირება. რაკი ბელგიის საზოგადოება ქალაქის კონტრაგენტია „კონკის" წარმოების საქმეში, ამის გამო ტფილისის საბჭოს შეუძლიან შეუდგეს ამ საქმის განწესრიგებას. („ტფ. ფურ.")

*** 1-ლ იანვარს დილის 9 საათამდე მიმოსვლა ცხენის რკინის გზაზედ თითქმის სრულიად შეწყვეტილი იყო, შემდეგ-კი მომუშავე „კონკების" რიცხვმა თანდათან იმატა, მაგრამ თითქმის მთელი დღე წესიერი მიმოსვლა ცხენის რკინის გზაზედ დარღვეული იყო, რადგან „კონკები" საკმარისად არ მუშაობდნენ.

*** 1-ლ იანვარს, დილის 5 საათზედ, მუშტაიდის ვიწრო ქუჩაზედ უწესოება მოხდა, რომელსაც მხოლოდ 9 საათზედ მოეღო ბოლო.

## ფელეტონი

### მამულის პატრონები

(სამი სურათი)

(დასასრული *)

მარო

— რძეს არ ინებებთ? ხმის კანკალითა და მოკრძალებით შეეკითხა მარო საზაფხულოდ მოსულ გაიანეს, რომელიც დიდ კაკალ ქვეშ გაშლილ ხალიჩაზედ სამოვარს მოსჯდომოდა და შვილების გამოღვიძების მოლოდინში თეთრ პურზედ კარაქს აგლესდა და დიდს თეფშზედ ალაგებდა.

— რძესა? რა დროს-ღა რძეა, ქა ადამიანო! აგერ ცხრა საათია! რძე მე დილითვე მიყიდნია. მაწონი მოგეტანა—კიდევ ჰო. მიუგო გაიანემ; რიგიანად არც კი შეხედა მის წინ მდგომ ყმაწვილ დედაკაცს, რომელიც გადაყვითლებული, ჩამომხმარი, ჭუჭყიან ჩითის კაბით და ფეხშიშველი, სისუსტისგან ძლივს-ღა იდგა ფეხზედ.

— ქალბატონო, შენი ხვთისათვის, უკან ნუ გამაბრუნებ! ერთი ორი შაური მიბოძე, წორეთ ერბოსავით რძე არის, აქა აქ სიარულის ღონე აღარა მაქვს, თორემ აბაზსაც მომცემენ, თუნგიანი ქილაა... ნაწყვეტ-ნაწყვეტათ და ხმის კანკალით ეხვეწებოდა მარო სამხარაშვილისა ჩასუქებულ და განარნარებულ, საზაფხულო ტანისამოსში გახვეულ გაიანე ბაზაზოვისას.

გაიანემ ეხლა კი მიაქცია ყურადღება მის წინ მდგომ ყმაწვილ დედაკაცს და, რა შენიშნა იმისი უკიდურესი მდგომარეობა, უთხრა:

— დაჯექ, ადამიანო, დაჯექ, რა დაგმართნია, რას გადასავსავებულხარ? რა გტკივა? დიდი ხანია აგრე ხარ? მუცელი გტკივა? გული გიწუხდება? ზედი-ზედ მიაყარა დასუსტებულ დედაკაცს, რომელიც ძირს დაეცა, ორსავ ხელზედ გაფითრებული თავი დაიბჯინა და სიმწარისაგან კბილები გააკრაჭუნა.

— ვა, რა დაგმართნია ადამიანო, თუ კი მაგრე სუსტად იყავ, რა მოგარბევინებდა? გაიანე ახლა ფეხზედაც წამოხტა და გულ მოდგინედ დაუწყო პატრონობა ავადმყოფს.—აი კაპლი დალიე, იქნება გულს გეჰიდება, ეს უეარია. უქნება უზმოზე წამოხველ,—აი ერთი სტაქანი ჩაი დალიე, პური შეატანე. შორსა სდგეხარ? გინდა შენს ვინმეებს დავაძახებინო.

— არა, გენაცვა, აღარა მიჭირსრა, ძლივს ამოისუნთქა მარომ. ფეხშიშველმა სამჯერ გამოვტოპე დღეს თეძამი და ასე ვიცი, როცა ფეხიდგან შემცივდება. ე კაპლი სწორედ მოსწრებაა ჩემთვის, მაშინვე გული მიპოვნა... ჩაისაც იახლები, ღმერთმა გადაგიხადოს, იუ მე ვერ გადაგიხდი... თვალ-ცრემლიანი ლუღლუღებდა მარო და თან პირში ლუკმას ლუკმაზედ იწყობდა.

გაიანე პირველ შეხედულობაზედ თითქო სასტიკი და გულ-ცივი ქალი იყო, მაგრამ ნამდვილად-კი დედაკაცურს სინაზესა და ლმობიერებას არ იყო მოკლებული და ნამდვილი პატრონობა გაუწია საცოდავ მაროს. საჩქაროზედ გამოურბენინა სახლიდგან თავისი ნაცვამი ჩულქ-ბაშმაკი, აკანკალებულ მხრებზედ თბილი შალი წამოხურა, ჩაის წუხანდელი ვახშმის ნარჩენი ხორცის ნაჭერიც მიუმატა, ერთი სტაქანი კარგი კახური ღვინოც გადააყლაპა და მერე დიდის ცნობის მოყვარეობითაც გამოჰკითხა მაროს მისის გაჭირვების ამბავი.

ამასობაში, გაიანეს ოთხი შვილიც შემოუსხდნენ სამოვარს და სუყველანი საერთოდ დიდის ინტერესით უსმენდნენ მაროს ბედზედ ჩივილს.

— ოხ, ქალბატონო, ნეტა ჩემ საცოდავ ქოხში შემოგახედა შენის კეთილის თვალით: იარ-ორი შვილი გაცხელებულები მიწევს, ვაჟკაცი ფეხ დასიებული, ამ მუშაობის დროს, უნძრევლად გამქრალ კერასთან ზის და თან აკვანში შიმშილისგან გასავსავებულ ბავშვს აქანავებს. სახლში ქვეყანაზედ აღარა მოგვეპოება-რა, ქვაბი რა არის, ქვაბიც-კი სოფლის მოხელეებმა წაგვართვეს მალაზიის ფულში..... ჩვენი სარჩო და საბადებელი ერთი ძროხა ლაა, ის გვასაზდოებს მთელ ოჯახს. თითო ცვარ რძეს ხან ავანტყობ ბავშვებს ვაყლაპებ და ხან ამ სიშორეზედ, აქ სოფელში მოვარბევინებ გასასყიდად; მერე რძის გროშებით თითო ოროლა გამამცხვარ პურს ვყიდულობ და სახლში მიმაქვს. გავწყდი, ქალბატონო, წელში, ნახევარზედ მშიერი, მაწოვარი, გულში ცეცხლით და ეხლა ამ შარა გზაზედ სიარული, ამ სიცხე პაპანაქებაში! თქვენამდინ ძლივს მოვახწიე. ღმერთმა გადაგიხადოთ ჩემი შეწყნარებისათვის. თქვენ რომ არ შემსწრებო-

*) იხ. „ივერია" № 2.

ცხენის რკინის გზის ადმინისტრაციასა და ამ გზის მეეტლეთა და კონდუქტორთა შორის რაღაც უსიამოვნება მოხდა... ცხენის რკინის გზის სადგომთან შეკრებილიყო 200-მდე კონდუქტორი და მეეტლე, რომელთა შორის ჩხუბი ასტყდა, რამაც პოლიციის ჩარევა გამოიწვია. რამდენჯერმე განმეორებულ შეტაკების დროს დაიჭრა 6 მეეტლე და 5 პოლიციელი (უკანასკნელნი მსუბუქად დაშავდნენ შეშებით, ჯოხებით და სხ.). მეეტლენი და კონდუქტორები ჯარის დახმარებით დატუსაღებულ იქმნენ. მრავალი დაიმალა, მაგრამ 60 კაცი-კი სატუსაღოში გაჰგზავნეს („კავკ“.)

*** ამ უქმეებზე 11—12 წლის ქართველ მოსწავლე ბავშვებს—ამირაჯიბს, დემურიას, ჯაჯანაშვილს, ლომაურს, ოქროპირიძეს და სხვებს—გაუმართავთ შინაური წარმოდგენა, რომელზედაც შეუკრებიათ 8 მან. და 30 კაპ. მიწის-ძვრისაგან დაზარალებულთათვის (ცნ. ფ.)

*** აბრეშუმის თესლზედ ზედამხედველობის დაწესების გამო კავკასიის სამეურნეო საზოგადოების საბჭოს მრავალი განცხადება მიუღია სოფლის მეურნეთაგან. ზოგიერთი მცოდნე მეაბრეშუმე-მეურნე წინააღმდეგობას თურმე აცხადებს ასეთის ზედამხედველობის დაწესებისას, რადგან ეს ზედამხედველობა, მათის აზრით, საგანს ვერ მიახწევს და ვერ განახორციელებს.

*** როგორც ახალქალაქიდგან „ტფ. ფ.“-ს დეპეშით აუწყებენ, 2 იანვარს სოფ. ბარალეთში ხელმეორედ მომხდარა ძლიერი მიწისძვრა, რომელსაც 30 სახლი მთლად დაუნგრევია, ხოლო დანარჩენები-კი ძალიან დაუზიანებია. ძლიერ დაზიანებულა სკოლისა და ადგილობრივის სამკურნალოს შენობები. ხალხი მიწის-ძვრის დროს ქუჩებში გამოცვივნულა და დილამდე სახლებში არ შებრუნებულა, თუმცა გარედ საშინელი ყინვა თურმე იყო. საბედნიეროდ არავინ დაღუპულა, მაგრამ ზარალი-კი ბევრს მისცემია.

*** გაზ. „კავკაზ“-ში დასტამბულია საყურადღებო ცირკულიარი კავკასიის მთავარ-მართებლის თავ. გ. ს. გოლიცინისა, რომლითაც მთავარმართებელს მიუმართავს ამიერ-კავკასიის გუბერნატორებისათვის. ცირკულიარი აღნიშნავს, რომ ამიერ-კავკასიის გლეხობა მეტად შეწუხებულია სხვა და სხვა სახელმწიფო და საერობო გარდასახადით და აგრეთვე სხვა და სხვა ბეგრით. რადგანაც ეს შევიწროება ხელს უშლის გლეხობას ეკონომიურად წაიწიოს წინ და რადგანაც ზოგი ბეგარა უსამართლოდ არის დაწესებული, მთავარ-მართებელმა ბრძანა, რომ 1 იანვრიდგან: 1) განთავისუფლებულ იქმნან ქუთაისისა, ტფილისისა, განჯისა და ბაქოს გუბერნიების სოფლის მცხოვრებნი ამიერ კავკასიის რკინის გზის ყარაულობისაგან, 2) გაუქმებულ იქმნან სოფლელთაგან გამოწვეული ყარაულები, რომელთა მოვალეობა იყო ყაჩაღების ზვერა და მათი გაწყვეტა; 3) მამასახლისები მომავალში დაინიშნონ იმ წესითა და რიგით, რომელიც აღნიშნულია მე-2 ტომის, ნაწილი I, მე-26 მუხლის მე-4 პარაგრაფში; აგრეთვე არ დაენიშნოს ჯამაგირები სოფლის მამასახლისებთან განწესებულ გზირებს სოფლის საზოგადოებათა დაუკითხავად.

*** ხონი. 25 დეკემბერს გარდაიცვალა ახალგაზდა ექიმი გრიგოლ სპირიდონის-ძე ქუთათელაძე. უმაღლესის სასწავლებლის დასრულების შემდეგ, ქუთათელაძე მსახურებდა ლეჩხუმში, და შემდეგ გურიაში; ორივედგან განსვენებულმა სამართლიანად დაიმსახურა პატიოსანი და ნიჭიერი ექიმის სახელი. მიცვალებული აუარებელი ხალხის თანდასწრებით დაასაფლავეს დ. ხონში 30 დეკემბერს.

*** ს. ქარელი. 6 ნოემბერს აქ აკურთხეს ახლად დაარსებული საქალებო საეკკლესიო-სამრევლო სკოლა, რომელიც მოთავსებულია დაქირავებულს სახლებში. ბავშვებმა კარგა ბლომად მოიყარეს თავი, მაგრამ უადგილობისა გამო მხოლოდ 30 მიიღეს. აზრად აქვთ მერმისისთვის საკუთარი შენობა აავონ და, რასაკვირველია, მოსწავლეთა რიცხვიც გაამრავლონ. უმთავრესი მიზანი ამ სკოლისა არის ის, რომ ბავშვებს ხელ-საქმე შეასწავლოს. ასეთი დანიშნულება სკოლისა იმან გამოიწვია, რომ იგი საქალებოა და მეორეც, აქ უკვე არსებობს ორკლასიანი სამინისტრო სკოლა, სადაც უმთავრესად წერა-კითხვას ასწავლიან. აგერ თითქმის ორი თვეა, რაც სამინისტრო სკოლის საკუთარი შენობა დაასრულეს, მაგრამ ჯერ კიდევ სწავლა არ დაწყებულა, რადგან შენობა მოიჯარადრეებისაგან არ ჩაუბარებიათ. შენობის და ბაღის ადგილი სოფელს თავ. ი. დ. ციციშვილმა დაუთმო უსასყიდლოდ.

მეორე ახალი მოვლენა, რომელმაც გაახარა სოფ. ქარელის მცხოვრებლები, აფთიაქია, პროვიზორის ალ. ბეშკენაძის მიერ გაღებული. აგერ ორი თვეა, რაც გაიხსნა ეს აფთიაქი და ამ დროს განმავლობაში უკვე ხალხის ყურადღება დაიმსახურა.

ერთს კიდევ სასიამოვნო ამბავს მოვკარით ყური: აქაურს თავადიშვილებს განუზრახავთ საკუთარის მკურნალის მოწვევა, რასაკვირველია, სოფლის დახმარებით. ამ საგანზედ არა ერთხელ ჰქონიათ სჯაბაასი და დღემდის ვერ მოიყვანეს სისრულეში. ახლაც რით გათავდება მათი განზრახვა, არ ვიცით, ამას ახლო მომავალი დაგვანახვებს.

*** გუშინ-წინ, 3 იანვარს, ერეკლეს სახელობის გერის საქალაქო სკოლაში გამართულ იქმნა საბავშვო საღამო და შობის ხე. საღამო დაიწყო ნაშუადღევის 5 საათზედ. სკოლის მოზრდილ დარბაზის ერთ მხარეს გამართული იყო პატარა, მაგრამ კოხტად მოწყობილი სცენა. ამ სცენაზედ გამოდიოდნენ სკოლისავე პატარა მოსწავლენი და კითხულობდნენ ქართულსა და რუსულს ენაზედ ლექსებს. ქართულად წაიკითხეს: „ვედრება პატარა გლეხისა“, „მგელი და კრავი“, „კატა და ბულბული“ და სხვა. ყველა ლექსი, როგორც ქართული, აგრეთვე რუსული, ბავშვებმა სამაგალითოდ წაიკითხეს. ქებულობა ამ სკოლის უფროსს მასწავლებელს ქ-ნ ა. მ. ჩაჩიბაიას და იმის ამხანაგებს ბავშვების რომზადებისთვის შრომა არ დაუზოგავთ. ლექსების წაკითხვის შემდეგ ცოცხალი სურათები დადგეს. სურათები წარმოადგენდნენ წელიწადის სხვა-და-სხვა დროს: ზამთარს, გაზაფხულს, ზაფხულს და შემოდგომას. მოსწავლეებს საშინლად მოეწონათ როგორც ლექსები, აგრეთვე ცოცხალი სურათები. შემდეგ ბავშვები მეორე ოთახში გაიყვანეს, სადაც მშვენივრად მოწყობილი შობის ხე იდგა. იქ ბავშვებმა რუსულ-ქართული სიმღერები იმღერეს და დარაზედ ცეკვათამაში გამართეს. ბავშვების სიხარულს და თამაშობის საზღვარი არა ჰქონდა. დასასრულ მოსწავლეებს, რიცხვით 82-ს, საჩუქრები დაურიგეს. თითო ბავშვმა მიიღო სასხლათე და საშარვლე, თითო გირვანქა ხილი, რვეულები, კალმები და სხვა. ღარიბებს ფეხსაცმელიც დაურიგეს. ასეთი უხვი საჩუქრები ბავშვებმა სკოლის გამგის ა. მ. ჩაჩიბაიას და იმის ამხანაგების წყალობით მიიღეს, რომელთაც ნაცნობებს შორის 170 მანეთამდე შეაგროვეს და ამ ფულით იყიდეს საჩუქრები და გამართეს საღამო. გამგე სკოლისა გვთხოვს გამოვაცხადოთ, რომ იგი დიდ მადლობას უძღვნის ყველა იმათ, ვინც ფულით ან სხვა რამეთი ამ საღამოს გასამართავად და საჩუქრების საყიდლათ შემწეობა აღმოუჩინეს. თვით გამგე და იმის ამხანაგებიც დიდის მადლობის ღირსნი არიან, რომ შრომა არ დაზოგეს და ამ ბედნიერ დღეებში გაახარეს ღარიბი ბავშვები.

*** სოფ. ხიდიუუსიმთა, (კავკავის მაზრა). ხუთს დეკემბერს, ნაშუაღამევის ორი საათი გადასული იყო, რომ ჯერ კანტი-კუნტათ დაიწყეს თოფის სროლა და რამდენიმე წამის შემდეგ გაცხარებული თოფის გრიალი ასტყდა. დიდი და პატარა გარედ გამორბოდა თოფების ხმაზედ და ყველას ყურადღება მიიპყრო მთვარემ, რომელიც შავს ზეწარშ იყო გახვეული და თურმე ამის მიზეზი იყო თოფების გრიალი. აქაურ ხალხის (ოსების) აზრით, მთვარე ვითომც გველვეშაპს შეეპყრა და თოფების სროლაზედ თავს გაანებებდა. ამ ძრიელმა მთვარის დაბნელებამ თითქმის სამსაათზედ მეტი გასტანა.

*** ფოთი. დედათა სკოლის სასარგებლოდ, 26 დეკემბერს კლუბის დარბაზში, ქ-ნ ა. მიქაბერიძის თაოსნობით, გაიმართა შობის ხე. საღამომ აუარებელი საზოგადოება მიიზიდა. შემოსავალი შემოვიდა სულ 622 მან. ამ ფულიდგან ხარჯს გარდა დარჩა 407 მან.

29 დეკემბერს, იმავე დარბაზში საზღვაოსნო სკოლის მოსწავლეებისაგან გამართული იყო სალიტერატურო და სამუსიკო საღამო. თუმცა საღამოს შემოსავალს კარგი დანიშნულება ჰქონდა, მაგრამ ამ ჟამად ხალხი, შევიწროვებული ზედი ზედ საღამოების, ადრესწაულო ხარჯითა და ცუდი ამინდებით, ცოტა დაესწრო, ასე რომ დარბაზში სულ 41 კაცი და 7 ქალი იყო. სამწუხაროდ, ამასაც უნდა დავუმატოთ, რომ ვინც დაესწრო, ისინიც უკმაყოფილოდ დარუნდნენ სახლში, რადგან საღამოს პროგრამის შემსრულებელთ ვერ იმღერეს კარგად და ვერც ლექსები წაიკითხეს.

*** ს. რიონი (ქუთაისის მაზრა). საზოგადოთ ჩვენი ქვეყნის ბევრს სოფლებში ძველათგანვე აქვთ შემოღებული საეკკლესიო უქმეების დღესასწაულობა. დღესასწაულები ძალიან ძვირად უჯდება სოფელს. მაგალ., რიონის საზოგადოებაში, რომელსაც რამდენიმე სოფელი შეადგენს და სადაც ხუთას კომლამდე მცხოვრები ითვლება გლეხი და აზნაური, ყოველს სოფელს თავისი საეკლესიო დღესასწაულები აქვს დადგენილი: ფერისცვალება, კვირიკობა, გიორგობა, ღვთიშობლობა და სხ. ისეთი შეუძლებელი გლეხი არ მოიძებნება, რომ, სულ მცირე, ერთი თუმანი მაინც არ დაუჯდეს ამ დღესასწაულის გადახდა. ბატონს ქუთაისის გუბერნიის უფროსს შეუნიშნავს, რამდენად ტრალო და ტყუილი ხარჯია ეგ სოფლებისათვის, და გარდა ხარჯისა—რამდენი უბედური შემთხვევა მოსდევს ამ დღესასწაულებს. ძველად იყო წმინდანების მოსალოცავად იკრიბებოდა ხალხი, მოილოცავდა, იმხიარულებდა, ტკბილ პურსა სჭამდა და ისევ მშვიდობით ბრუნდებოდა შინ—ეხლა სულ სხვაა—თემი ისე არ

---

დით, იქნება აქ სადმე ამომსვლოდა სული.

— მერე, ძროხა რომ გაგიშრება, რძის მყიდველები რომ წავალთ, რაღა გეშველებაზრილათი უნდა უყიდო შვილებს პური? გულმტკივნეულობით ეკითხებოდა გაიანე მაროს და თან პირჯვარს იწერდა და გულში ღმერთს მადლობას სწირავდა, რომ ამისი შვილები უზრუნველ იყვნენ და წითლად და თეთრად გაუდიოდათ ღაჟღაჟი.

— მერე? მერე ეგების კაცს ფეხი მოურჩეს, სამუშაოდ გადგეს სადმე. ყურძენი დამწიფდება, ხილი შემოვა რამე, გავყიდით....

— როგორ, ვენახი გაქვს? მამულის პატრონი ხარ? გაკვირვებით შეჰყვირა გაიანემ.

— დიახ, ერთი ჩარექი ვენახი გვაქვს, ერთი ამ კაკალზედ დიდი ხეც გვიდგია ჩვენი ბოსლის წინ და კიდევაც ეგ არის ჩვენი უბედურება, რომ მამული გვაქვს!

— როგორ თუ უბედურება?! მე რომ ერთი ჩარექი ვენახი მქონდეს აქ, სახლს ავაშენებდი, ჩემი საკუთარი „დაჩა“ მექნებოდა. ერთი ამისთანა კაკლის ხე ხომ მთელს ქვეყანას მირჩევნია, მხიარულად სთქვა გაიანემ და ახოვან კაკალს სიამოვნებით თვალი ააყოლ-ჩააყოლა.

— თქვენ-კი გირჩევნიათ, თქვენთვის მამული დროს გასატარებელი, საგრილობელი ადგილია, მაგრამ ჩვენ-კი ვაგლახათ გვაწევს კისერზედ, ამოხვრით სთქვა მარომ: მამულის პატრონს გვეძახიან, ხარჯს ბევრს გვაწერენ, გარდა ამისა მამულს თავს ვერ ვანებებთ, ზედ ვაკერივართ და ერთი ჩარექა მამული-კი ვერ გვასაზდოებს. ეგ მამული-კი რომ არა ყოფილიყო, ავიყრებოდით, ქალაქს მივეკედლებოდით, დღიურის ნამუშავრით ვიცხოვრებდით, ყველანი გავირჯებოდით, დიდისთვისაც და პატარასთვისაც სამუშაო იქმნებოდა. ეხლა კი მამულის პატრონები ვართ, მამულს ვუვლით და მისი შემაყურებელი შიმშილით ვიხოცებით, მწარის ღიმილით სთქვა მარომ და გემრიელი ლუკმით მოღონიერებული გზას გაუდგა.

— ვა, ხათაა, სუყველაფერი ამ წუთი-სოფელში, ჩაფიქრებით სთქვა გაიანემ, მე ერთი კაკლის ხე სიმდიდრეს მირჩევნია და ამ საცოდავს-კი ბორკილად გახდომია! მე ქალაქიდგან ამ კაკლის ქვეშ მოვდივარ, რომ დავისვენო და გავიხარო და ეს კი იმ კაკლის ქვეშიდამ ქალაქში წასვლას ნატრობს, რომ იქ სამუშაო იშოვნოს, ნამუშავრით მუცელი გაიძღოს და გაიხაროს?!.

3.

რა უნდა ვქნათ?

კნ. მარიამ ანდუყაფარაძისა და მისი ქალი ნინო დიდს ფაცა-ფუცში არიან: ალაგებენ, ასუფთავებენ თავიანთ ერთად ერთს ოთახს და სცდილობენ მომეტებული საოჯახო ავეჯი მიმალ-მომალონ ტახტებ ქვეშ და ოთახს სასტუმროს ელფერი მისცენ, მაგრამ ოთახის სილატაკე იმდენად ღაღადებს, რომ მისი ჩაჩუმება ვერ ძალ უძს ვერც სტოლზედ ახალ გადაფარებულ სპეტაკ სუფრას, ვერც კედლებზედ ჩამომწკრივებულ, „Нив.“-ვიდგან ამოჭრილ ფერად სურათებს, ვერც სხვა და სხვა ნაკუწებით ხელოვნურად მოქარგულ ბალიშს—დორებს. აქა იქ დაშვებული ჭერის ლამფა, ოდესღაც თეთრად შეღებილი, მუდმივის წვეთის მოწყალებით უცნაურ ნახატებად არის აჭრელებული. გაჯით ნალესი კედლები ამავე წვეთით ღრმად დაღარულა და ალაგ-ალაგ ჩამოქცეულა. იატაკის შეუღებავ ფიცრებს ფართოდ დაუღიათ პირი და ხარბად უყლაპიათ ოთახის ნაგავ-ნაწმენდი, რის დამამტკიცებელი საბუთი: ცოცხის კლერტოები და მწვანილის ღეროები კეკლუცად გამოიყურება სოროებიდგან.

სახლის დალაგების შემდეგ მარიამმა გადახედა თავისს ნინოს და ამ გადახედვის შედეგი იყო გულიდგან ამონაკვნესი ამოოხვრა. კნიაჟნა ნინა თავისის ოც-და-ათის წლის დამჭკნარის სახით, გახუნებულის მწვანე კაბით, რომელიც სრულიად და სავსებით შეეხამებოდა მისის პირის-სახის ფერს, ვერაფერ სანუგეშოს ეუბნებოდა მშობლის გულს.

არც არა სანუგეშო რამ აღძრა მარიამმა ნინოს გულში, როდესაც იმან დედას ნაზად გაუსწორა ძალზედ მოხრილ ბეჭებზედ ხუთზედ მეტად გარეცხილი ბლონდის ლეჩაქი და ნაზადვე გაუბერტყა გამტვრიანებული და ქონის ლაქებით გაჩითული შავი შალის კაბა.

— გენერალი საცაა მოვა, ყავა მზად არის? შეეკითხა დედა შვილს თითქო, არ იცოდა, რომ ყავა დიდიხანია მზად იყო. ამ დილით თითონ რამდენჯერმე უკუ მიდგა ცეცხლიდგან ჭუჭყიანი ჩაიდანი, რომ სტუმ-

გათავდება, და მაინც არ დარჩეს დასახიჩრებული, რადგან უზომოდ გალოთებულნი ერთმანეთს ისე დაერევიან სულ ბრალო მიზეზისა გამო, თითქოს მოქიშპე მტრები იყვნენო.

აი, ამ უბრალო ხარჯებისა და ხალხის ერთმანეთზე გადაკიდებისა და მტრობის ასაცილებლად, ბ-ნი გუბერნიის უფროსი წინადადებას აძლევს ბ-ნთ მაზრის უფროსებს, ხელი შეუწყონ სოფლისათვის კეთილს საქმეს და მოაშლევინონ ეგ საეკკლესიო დღესასწაულები. სხვათა შორის ქუთაისის მაზრის უფროსისგან რიონის საზოგადოების მამასახლისსაც მოუვიდა ამ დღესასწაულების გადაგდების თაობაზე მოწერილობა. შობის წინა დღეებში რიონის საზოგ. მამასახლისმა მოახდინა ყრილობა ამ მოწერილობის გამო და მთელმა საზოგადოებამ ერთხმად აზნაურებმა და გლეხებმა მოიწონა ეს აზრი, თუ რომელიმე დაარღვევს პირობას, უნდა გადაიხადოს სამი თუმანი საზოგადოებაში დაარსებულ სკოლების სასარგებლოდ. სასურველია, რომ ამ გონიერს გადაწყვეტილებას ბევრი სხვა სოფლებიც მიბაძავდნენ.

*** დ. სამტრედია. აქაურის სცენის მოყვარეთ, ბ-ნ ცეთიას თაოსნობით, 30 დეკემბერს წარმოდგენა გამართეს. რამდენიმე ივეა, რაც სცენის მოყვარეთა დასი შესდგა და ეს მესამედ გამართეს წარმოდგენა. ამ ხელათ ითამაშეს „და მა“ ვ. გუნიასი.

წარმოდგენამ უფერულად ჩაიარა, რადგან ზოგიერთებმა როლები არ იცოდნენ და არც ეხერხებოდათ თამაში.

*** ს. დაბლასაქარა (შორაპნის მაზრა). 19 დეკემბერს ნაშუადღევის ორ საათზედ, საშინლად იძრა მიწა. მიწის ძვრამ დიდათ შეაშინა ხალხი. ზოგს ქვითკირის ბუხრები დაუნგრია და საქარის წმ. გიორგის ქვითკირის ეკკლესიის ცა სრულებით დაიშალა.

*** ს. ზანძა, (სენაკის მაზრა). 26 დეკემბერს დათა სიბას მე გეგელიას შეუ, როცა ის თავისს სახლში მიდიოდა, უცებ თავს დაესხნენ თავ. სარდიონ ცულუდუ, პარტუუ და პლატონ ფაღავები და დაუწყეს ჩეხვა ხანჯლებით. საწყალ გეგელია ხელში ჯოხი ეჭირა და იმით იგერებდა. ბოლოს, როცა ხანჯლები ვერა უყვეს-რა, ამოიღეს რევოლვერები და დაუწყეს სროლა. გეგელია ორივე ხელში დასჭრეს, მაგრამ მას კიდევ ხანჯალი ჩასჭრეს შიგ გულში სამჯერ. საწყალმა გეგელიამ 150 საჟენი გაიარა ესით და დაეცა და საღამოს მესამე საათზე გარდაიცვალა. საწყალს დარჩა წვრილი ცოლ-შვილი. მკვლელთაგან ორი დაიჭირეს და ორი გაიქცა.

*** ამას წინად ახალქალაქის მაზრაში ღამით ორი უცნობი ბოროტ-გამზრახველი თავს დასხმია სამსახურიდგან გადამდგარის გვერდის დიმიტრი მეუხელაშვილის სახლს, რომელშიაც ფანჯრები ჩაუმტვრევიათ, თოფი უსროლნიათ და შემდეგ დამალულან. პოლიცია მათს შეპყრობას მხნედ შესდგომია. („კავკ.“)

*** სოფ. გიზელი (კავკავის მაზრა). ამას წინათ ამ სოფლიდგან წავიდა რამდენიმე ყმაწვილი კაცი სანადიროდ. მონადირეთ დათვი დასჭრეს და დაჭრილი დათვი შეხვდა ორს მათგანს და ისე დაბეგვა ორივე, რომ ადამიანის სახე აღარ ეტყობოდათ. დათვისაგან დაბეგვილები კავკავში მიხეილის საავადმყოფოში წაიყვანეს, მაგრამ ერთი მათგანი გარდაიცვალა და მეორეს მორჩენაც საეჭვოა.

### შემოწირულება

ახალქალაქის მაზრაში მიწის ძვრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ რედაქციამ ს. ქარელიდგან მიიღო:

თავ. ი. დ. ციციშვილისაგან — 2 მან., ალ. ჯეშვენაძისაგან — 1 მ., ალ. ედილაშვილისაგან — 1 მ., ვერა ედილაშვილისაგან — 50 კაპ., ი. ედილაშვილისაგან — 20 კაპ., ე. ნიკონოვისაგან — 20 კაპ., ანასტ. ედილაშვილისაგან — 15 კაპ., სულ 5 მან. 5 კაპ.

### რას ნიშნავს „ღმერთი“ ლინგვისტიურად?

ქართულის ფილოლოგიის მოყვარეთა წყალობით დღეს უეჭველ განათლებულ, ასე გასინჯეთ, ხანდახან ზოგიერთ მდაბიო ქართველსაც-კი ღრმად სჯერა, რომ ისეთა დიდებული სახელი, როგორიც არის ღმერთი, არსებათა მაარსებელი არც ერთის ხალხის ენით არაა შექმნილი, რომ იგია ღრმა, ვითომდა მიუწდომლობით, და მასთანვე ერთი, ესე იგი ღმაერთი. ღმერთი პირველ სახე-კი არა, წარმოებული სიტყვაა და პირველად შემდგარა ორის ერთ-მნიშვნელობიანის სიტყვისაგან: მარ და ღუთ, რომელთაგან პირველი სიტყვა იმ სახითვე ენათესავება ქალდეურსა და იტყვის უფალსა და მეორეა მონათესავე სპარსულის ხუდა და ნიშნავს იმავე უფალსა. ასე რომ მარ და ღუთ სიტყვა-სიტყვად ითარგმნება უფალ ღმერთად და დროს განმავლობაში, ხმათა ცვლის კანონის ძალით, გამხდარა ღმერთი. (მარ ღუთ, მარ-ღთ, ღ-მარ-თ და ღ-მერ-თ). ხოლო პრეფიქს-დართულ სამარღუთო ქცეულა სა-ღთო (სა-მარ-ღთო, სა-მრ-ღთო, სა-მ-ღთო და სა ღთო). მარ სპარებაში გამოსულა, მაგიერ ღუთ დაჰსდებია სათავედ სიტყვებსა: ღუთ-(ა)ება, ღუთიანი, ღუთიერი და ღუდელი და შექნილა საზრუნავ-ნავლი სიტყვა, რომელიც იბრუნვის ასე: სახ. ღუთისა განვით. ღუთად, შემოქ. ღუთით და წრფელ. მრავლ. რიცხ. ღუთები, რასაც, თუ არ ვსცდები, საბაორბელიანი თავის მოგზაურობაში გვერებს ეძახის. რაც შეეხება ღმერთსა, ეს სიტყვაც, როგორც უგვიანესი და უახლესი, თავადარსია ქართულ მწერლობასა და ქართველთა ერის მეტყველებაში და კიდეც იმიტომ სრულის განკლდელობის მექონია.

აქ შესაძლოა მკითხველმა იკითხოს, ნამდვილი ქართული სიტყვა სადღაა უზენაესის არსების საწოდებლად, თუ მარ ქალდეურია, ღუთა — სპარსული, უფალი — სანსკრიტული და ბატონი — ლათინურიო. საქმეც ის არის, რომ ეს სიტყვები უეჭველ წმინდა ქართულია და იმ დროსვე ქალდეურის, სპარსულის, სანსკრიტულის და ლათინურის მონათესავეც. ქართველთა ერი ანთროპოლოგიურად მეტად ნარევი და დადუღებული მოდგმაა და სწორეთ ეს არის მისი ერთად-გამძლეობის ნიშნის სათავე. ენაც, ამის არ იყოს, მეტად ნარევი და დადუღებული აქვს. ამიტომ შიგ უხვად იპოვება არა თუ მსგავსი სიტყვები, არამედ, რაც უფრო საგულისხმოა, ანგარიშ მიუწდომელი სიმრავლე ისეთ ძირთა, რომელნიც არიულ, სემიტურ და თურანულ ენებში არიან დაცულნი. ამას გარდა ეს ჩვენი ქართული ენა თავ-ბოლო-ცვალებადია, ესე იგი არც თუ მარტო დაბოლოებებს (ფლექსიონს) იცვლის, არცა თუ მარტო თავსა პრეფიქსის ანუ ნაცვალ. სახელის ძირის დართვით. (კაცი, კაცური, სა კაც-ი, მ-რწამს, გ-რწამს-თ; ვ-წამ-ებ, ი წამ ებ თ) სწორედ ამით არის შესანიშნავი ქართული ენის ბუნება და საშუალებად-კი სამასო ლინგვისტი ჯერ არავინ არის ბუნებით ქართველი, რადგანაც თუ არ ქართველი სხვა უცხო ვინმე, დიდი ენის-მეცნიერიც რომ იყოს, ფონს ვერ გავა ჩვენის ენისობის მდინარეში, რომელსაც შეიძლება სამართლიანად ეწოდოს ერთამტკვარი.

პეტრე მირიანიშვილი

### პირველი ქართული გაზეთი

ტფილისის საეკკლესიო მუზეუმში აღმოჩნდა მე-25 №-რი პირველის ქართულის (და კავკასიისაც) გაზეთისა. აი სათაური ამ გაზეთისა: „საქართველოს გაზეთი“ აგვისტოს კბ დღესა ჩყით წელსა თფილისში № 25“.

გაზეთი დაბეჭდილია ჩვეულებრივს თაბახიანს ქაღალდზედ ორ სვეტად. ენა ადვილად გასაგებია.

შინაარსი მე № 25-ისა: 1) განცხადებანი „აღმასრულებელ ექსპედიციისა“ და „საქართველოს ღუბერნატორის“ თანამდებობის აღმასრულებლის ხოვენისა, 2) მოთხრობანი პეტრე დიდისა და 3) „მოთხრობანი“ შესახებ სხვადასხვა კითხვებისა.

ზოგიერთი მოთხრობა ფრიად საყურადღებოა. მაგ.

ხელმწიფე (პეტრე დიდი) აკეთებდა კაცის სახეს სახარატოს იარაღით, და იყო რა მხიარულად მისთვის, რომ წარმატებით მუშაკობდა, ჰკითხა მუშაკსა თვისსა ნარტოვს: „მე როგორ ვაკეთებო?“ და ოდესცა ნარტოვმა უპასუხა: „კარგადაო“, მაშინ იმისმა დიდებულებამ უთხრა: „ანდრიავ, მე ძვლებს ასე ვსთხრი საჭრეთლითა და მიუდრეკელ კაცთ გამართვა კეტიტაც ვერ შევიძელო“.

* * *

რომელთამე ქალთა ჰკითხეს გამოჩენილს არტისტს ბერნენს: „ვითარი სხვაობა არის ფრანციისა და იტალიის ქალთა შორისო?“ მან მიუგო: „მე ვგონებ მხოლოდ ეს სხვაობა არის, რომ ძარღვთა შინა იტალიანელისათა მდინარებს სისხლი და ფრანციელისათა რძეო“.

ამავე მე-№ 25-თან დაცულია საქართველოს გაზეთის სხვა № ის მეორე ნახევარი.

არა სჩანს ვინ იყო გამომცემელი ან რედაქტორი ამ გაზეთისა. კარგი იქმნება, ხელ-ახლა გადაიბეჭდოს რომელსამე გამოცემაში.

მ. ჯანაშვილი

## რუსეთი

იმ კომისიის სხდომები, რომელიც საერო განათლების სამინისტროსთან დაარსდა საშუალო სასწავლებელთა გადაკეთების საქმის განსახილველად, დაიწყება ამ თვის შუა რიცხვებში. კომისიას შეადგენს ორმოცზედ მეტი კაცი, რომელნიც გაგზავნილნი არიან სამოსწავლო ოლქებიდგან და სამმართველოებიდგან. ამ ჟამად საერო განათლების სამინისტროში ათავებენ იმ ვრცელის მასალის განხილვას, რომელიც გაუგზავნიათ სამოსწავლო ოლქებიდგან საშუალო სასწავლებელთა გადაკეთების საქმის გამოსარკვევად.

— 30 დეკემბერს რუსეთის საიმპერატორო სატეხნიკო საზოგადოების წევრთა კრებაზედ გასინჯულ იქმნა ლივჩაკის-მიერ აღმოჩენილი იარაღი, რომელიც აჩვენებს მატარებლის მემანქანეს ერთსა და იმავე დროს: ორთქლმავლის მოძრაობის სისწრაფეს, ადგილს, სადაც ორთქლმავალი იმყოფება და წინ მყოფ მისახვევ-მოსახვევებს, აღმართ-დაღმართებს და სხ.., ამ იარაღის შემწეობით შესაძლებელი ჰხდება იმ უბედურ შემთხვევების თავიდგან აშორება, რომელიც ხშირია რკინის გზაზედ ორთქლ-მავლის მართვის სიძნელის გამო ბნელ ღამეში, ქარბუქის დროს. ეს იარაღი უკვე გამოსცადეს პეტერბურგ-ვარშავის რკინის გზაზედ და ჩინებული გამოდგა.

## უცხოეთი

**ინგლის-ტრანსვაალის ომი.** ფელდმარშალის რობერტსის დანიშვნის გამო სამხრეთ აფრიკის ჯარების მთავარ-სარდლად და ლორდის კიჩნერისა შტაბის უფროსად აი რას ამბობს გერმანული გაზეთი „Köln. Zeit“.

„ლორდ რობერტსის შესახებ არაფრის თქმა არ შეიძლება. ამ თავითვე მართლა ძნელია თქვას ვინმემ, რას გააკეთებს სამხრეთ აფრიკაში 68 წლის

რის მოსვლამდე არ ამომშრალიყო.

შუა დღე გადავიდა. ბევრის მოლოდინით დაღალული დედა-შვილი მუთაქებზედ წამოწვნენ და განსვენების მაგივრად თითო გულის გამგ[...] მირი ოხვრა ამოუშვეს, როდესაც ერ[...] თითვალი კიდევ გადაავლეს თავიანთ ასის წლის ბებერსავით დაღმეჭილ[...] მორთულ ოთახს.

პირველს საათს ძლივს მობრძანდ[ა] ანდუყაფარიანთ გვარის სიამაყე დ[ა] დამამშვენებელი გენერალი. მას მო[...] ჰყვნენ მარიამის შვილები „ოტ[...] სტავნოი პოდპრაპორშჩიკი“, ა[...] №. მაზრის ბოქაულის თა[...] ნაშემწე გრიშა და გაზეჩავებული ჩუსტებიანი, ნაბდის ქუდიანი, ორმოცი წლის უმაქნისი თავადი ვლადიმირი.

მარიამი და ნინო პირმოქუშულები დახვდნენ სტუმრებს. არც სტუმრები იყვნენ ძალიან მოლხენით. ორსავე მხარეს ეტყობოდა, რომ სანადიმოდ არ იყვნენ შეკრებილნი. ჩვეულებრივი ქართული მისალმება „როგორ გიკითხოთ, ბატონო“ რა[...] ღირს, ისიც კი არ წამოსცდენია თავისს დიდებულ სტუმართან ზრდილობიან დიასახლისს.

[ერთ]ოდე წამის სიჩუმის შემდეგ გენერალმა ჩაახველა, ულვაშებზედ ხელი გადაისვა და პატარა ყოყმანის შემდეგ სთქვა: „აბა, ბატონებო, რაღას უყურებთ, მიბძანეთ, რა უნდა გაიყოთ?“

— რა უნდა გავიყოთ, შენი ჭირიმე! გაანჩხლებით სთქვა მარიამმა და თავისს ვაჟებს გადუბღვირა. აი, ბატონო გენერალო, თქვენ თითონ განიხილეთ ჩვენი ავლა-დიდება და სულ ეშა ბძანეთ, რა გვაქვს გასაყოფი! ეს მეფავებიან ეს ჩემი შვილები კი არა, ჭირები და ვაგლახები. სირცხვილი არ არის, მოხუცებული დია, გასათხოვარი და შარა გზაზედ აგვიშვან? ეს ერთად-ერთი, ნახევარზე დაქცეული ოთახი, გამოგვწირონ? ოც-და-ათი ნაბიჯი ბაღი, ემის და ნინას ხელით გაშენებულის ხეხილით, წაგვართვან? ამის მეტი სხვა რა გვაქვს, რა? ჰა თითონ დაასახელონ მაგ პატიოსნებმა, რა გვაქვს გასაყოფი!

— რა გვაქვს და ტყე გვაქვს, სამოცი დესეტინა, წაიდუდუნა კნ. ვლადიმირმა.

— ოთხი კაცის ნადელი. დაუმატა პოდპრაპორშჩიკმა.

— ხა ხა, ხა! ტყუილის სიცილით გადიხარხარა კნეინამ. ტყე, ნადელები! მშვენიერი ტყეა, მშვენიერი ნადელები! ტყე დაგირავებული გახლავთ ბანკში და თავისს სარგებლის ნახევარსაც ვერ იხდის, იმიტომ რომ მთლად გააჩეხინეს ამ ბატონებმა და ნადელები ამათვე კაი კაცობით მთლად გაოხრებულია. საცოდავ გლეხებს ასყიდვინებენ, მამასისხლად ყფასებენ და იმ ავი ძაღლის საქმე ემართებათ, რომელიც არც თითონ სჭამდა და არც სხვას აჭმევდა. — აბა რა უნდა გაიყოთ, რა? სთქვით რაღა, სთქვით, თქვე უბედურებო თქვენა!

— რატომ არა გვაქვს, რატომ, დიახაცა გვაქვს და თუ ბევრი არა გვაქვს რა, ეგ სულ თქვენი ბრალია, შენი და მამა ჩვენისა. ცოტა გვქონდა, რომ თქვენ შეჭამეთ? დააგირავეთ, გაყიდეთ?!. ჩვენი ზემოხეური ზვარი ეხლა ათასი თუმანი ღირს და თქვენ კი ორმოც თუმანში მიგიციათ სონკუა შარიშვილისთვის. ჩვენი თუთხმეტი დღის ხოდაბუნი ზედაველზედ ეხლა სამასი თუმანი ღირს და თქვენ-კი ოც-და-ათ თუმნად დაგიგირავებიათ და ზედ მიგიტოვებიათ ალექსა აკოფაშვილისათვის, ჩვენი გალმ... — მერე რო დაგვიგირავებია, შეჰკივლა მარიამმა გაცეცხლებით და შეაწყვეტინა საყვედური პოდპრაპორშჩიკს: ვისთვის დაგვიგირავებია, ვისთვის გაგვიყიდია? ჩვენთვის თუ თქვენთვის? განა უკანასკნელი ლუკმა თქვენს სწავლაში არ დავხარჯეთ? განა თქვენ უკან დევნას არ მოვანდომეთ მთელი ჩვენი ჯანი, ღონე, ცხოვრება! გვეგონა კაცები გამოვლენ, ისწავლიან რასმე, ჩვენც გვაცხოვრებენ, თავსაც ისახელებენ, მამულსაც გამოიხსნიანო, და სამაგიეროდ-კი რას მოვესწარით! სულით გლახებს, ხორცით დავრდომილებს, უსაქმურებს, უშნოებს. ლუკმის შეძენა არ შეგიძლიანთ და გინდათ უკანასკნელი თავსაფარი პირიდან გამოგვგლიჯოთ დედაკაცებს და ისიც გადაყლაპოთ. აბა შემოგვხედეთ, ბატონო გენერალო, რა გვაბადია, რითი ვცხოვრობთ? მთელი დღე ვმუშაობთ, წელებზედ ფეხს ვიდგავთ და მაინც ნახევარზედ მშივრები, ტიტვლები ვართ და შესაძლებელია ეს ორი ნაბიჯი მაინც გაგვიყონ, გამოგვწირონ?

— დაწყნარდით, კნეინა მარიამ, დაწყნარდით: მე ძლიერ კარგად ვხედავ და ვიცი, რომ ღარიბნი ხართ, მართალია თქვენი ცხოვრება შესაშური არ არის, მაგრამ კნ. ვლადიმირი და კნ. მიხეილი თავისი მამის კანონიერი შვილები არიან და უფლება აქვთ თავიანთი საკუთრება, ცოტაა იგი, თუ ბევრი, მოითხოვონ. მე, როგორც შუა-კაცად არჩეული, გთხოვთ ყოველიფე-

გენერალი, რომელსაც თავისი ძლიერება გამოუჩენია ინდოეთის ომში, და არა აქ. თუმცა იმას უომნია სამხრეთ აფრიკაშიაც, მაგრამ დიდი ხნის წინეთ. უეჭველ შემთხვევაში, საჭიროა თავის გადადება, რომ გაფუჭებული სტრატეგიუ, ლი მდგომარეობა გაასწორონ. კიჩინერის შესახებ-კი მეტის თქმა შეიძლება. შტაბის უფროსმა კარგად უნდა იცოდეს შტაბის სამსახურის ტეხნიკა ხელად უნდა მიაგნოს იმ გზას, რასაც დრო და გარემოება თხოულობს ხოლმე, არ უნდა დაივიწყოს გაჭირვების დროს და სხ. უეჭველია ამ ღირსებით არ არის აღჭურვილი ხართუმის გმირი. იმას ბევრის რასმეს გაკეთება შეეძლო, მთავარ-სარდლად რომ ყოფილიყო და შესაფერისი შტაბის უფროსი ჰყოლოდა, მაგრამ ნაკლებად გამოდგება იმ ადგილზე, რომელიც მას ჩააბარეს“.

ამ ნაირად გაზეთი ბევრს არაფერს გამოელის ინგლისის ჯარის ახალ უფროსებისაგან.

— როგორც ვიცით, ტელეგრაფის მავთულები, რომლებიც ორანჟე-ტრანსვაალს უკავშირებენ სხვა ქვეყნებს, ყველა ინგლისის ხელში იმყოფება. ამ უპირატესობით სარგებლობს ამ ჟამად ინგლისი და, რომელიც თითონ არ მოუწონებს, ერთს ამბავსაც არ უშვებს ორანჟე-ტრანსვაალში და იქიდგან სხვა ქვეყნებში. ამ გარემოების გამო დიდათ სჩიოდნენ ყველა ქვეყნის ჟურნალ-გაზეთები. თვით ინგლისის გაზეთებიც-კი უკმაყოფილონი იყვნენ, რომ მთავრობა ბრძოლის ველის ყველა ამბებს სისწორით და სავსებით არ აქვეყნებსო. ეხლა რუსეთის მთავრობას ოფიციალური ქაღალდი გაუგზავნია სხვა სახელმწიფოებისათვის და შეკითხვებია, რამდენად სამართლიანად მიაჩნიათ ინგლისის საქციელი, რომელიც არა მარტო გერმო დეპეშებს იჭერს სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკებში გაგზავნილთ და იქიდგან სხვა ქვეყნებში, არამედ ოფიციალურსაც და რამდენად ეთანხმება ეს საქციელი საერთაშორისო სადეპეშო დადგენილებას პეტერბურგში 1895 წ.

---

რი სახლის ავეჯი წარმოადგინოთ, მამულები დაასახელოთ, რომ შეუდგე მედიატორის მოვალეობას, გაგანაწილოთ და გაგყაროთ.

— გაგვყაროთ, გაგვანაწილოთ! ვაი ჩემ ჩაქოლვას, ვაი ჩემ თვალების დაბრმავებას. ცოცხლად ჩემი ქრმის ჰერ ქვეშიდგან უნდა დამითხოვოთ, ქუჩა ქუჩა მაწანწალა უნდა გავხდე. ბარემ აქვე კეტი დამარტყით და მამარჩინეთ ამ უბედურ წუთი-სოფელს. მერე მიუბრუნდა ნინოს და შესტირა: შენ, შე, უბედურო ქმნილებავ, შენ რაღა გეშველება? ვის უნდა მიეკედლო, შენი ვონა და ყმა უნდა გახდე?..

ამ რიგად მოსთქვამდადა წუწუნებდა გაფთრებული მარიამი. ნინა ჩუმის ტირილით, ბანს ეუბნებოდა. კნიაზები ოთახში ბოლთას სცემდნენ. გენერალი-კი გაყრის განაჩენსა სწერდა: „1899 წელსა, მარიამობისთვის ოც-და-ცხრასა დღესა, მე ქვემორე ხელის მომწერელმა, გენერალმა ანდუყაფრიშვილმა“.....

ეკ. გაბაშვილი

---

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

საფრანგეთში, დაბა შოლეში, ერთს განმარტოებულ სახლში სცხოვრობდა სამხედრო მკურნალი პოლ. გრონიე. გრონიე მარტოდ მარტო იყო და სახლში შვიდი ძაღლის მეტი არავინა ჰყვანდა. უკანასკნელ ოთხ წელიწადს გრონიე ლოთობაში ალაშებდა და სულ არაფერს აკეთებდა. გრონიე ორჯელ იყო ჯვარ დაწერილი. პირველი ცოლი რამდენისამე თვის შემდეგ მოუკვდა; მეორედ სულ ახალგაზრდა ქალი შეირთო; მაგრამ ამ ქალმა ვერ შესძლო ლოთ და მოუსვენარ ქმართან ცხოვრება, თავი მიანება და დედ-მამასთან გადასახლდა, ამის შემდეგ გრონიემ ლოთობას ერთი ორად უფრო მიჰყო ხელი. მეზობლები სულით-ავადმყოფ კაცად სთვლიდნენ გრონიეს და ყოველთვის ერიდებოდნენ. 17 დეკემბერს გრონიე ქუჩაში გამოსულა; მეორე და მესამე დღეს-კი აღარავის უნახავს იგი გარედ. მეორე დღეს ერთი მეზობელი შესულა სახლში და შემდეგი სურათი დაუნახავს: იატაკზედ გრონიეს გვამი ეგდო თურმე, რომელსაც გამგელებული ძაღლები შემოხვეოდნენ და ჰგლეჯდნენ. სტოლზედ ცალიერი ბოთლი უნახავს. ძაღლები ძლივს მოაშორეს თურმე გვამს.

* * *

ერთი რუსული გაზეთი შემდეგ ამბავს იუწყება. ქ. გროდნოს საპყრობილედგან 24 წარსულ ოქტომბერს ერთი ტუსაღი, გვარად ივანოვი, გაქცეულა. ეს ამბავი საღამოთი მომხდარა. ერთს დარაჯს თვალი მოუკრავს კარებიდგან გამოვარდნილ ივანოვისთვის და უკან გამოსდგომია. ივანოვი რკინის გზის სადგურისაკენ გაქცეულა, სადაც ამ დროს წასასვლელად მომზადებული მატარებელი იდგა თურმე. შემხტარა თუ არა ივანოვი ვაგონში, მატარებელიც დაძრულა, მაგრამ არც დარაჯი ჩამორჩენილა და უკანასკნელ ვაგონზედ ისიც შემხტარა. კონდუქტორის შემწეობით დარაჯს შეუპყრია ივანოვი და ის იყო, იმის გათოკვას აპირებდა, რომ ივანოვი ხელიდგან გასხლტომია, ფარაჯის ქვეშიდგან ამოუღია რკინის ჯოხი, დაურტყამს თავში დარაჯისა და კონდუქტორისთვის და ორივე იქვე წაუქცევია, შემდეგ გამოუმტვრევია ვაგონის ფანჯარა და ძალზედ გაქანებულ მატარებლიდგან ძირს გადმომხტარა. მატარებელი მაშინვე გაუჩერებიათ, მაგრამ ივანოვი ვერსად ვერ უპოვნიათ. მხოლოდ მეორე დღეს, როდესაც მთელი სოფელი გარეკეს გაქცეულის პატიმრის დასაჭერად, ტყეში უნახავთ დამალული ივანოვი. გაქანებულ მატარებლიდგან ივანოვი ისე გადამხტარა, რომ არაფერი ვნებია.

* * *

როგორც ბატავიიდგან ამსტერდამში ოფიციალურად ატყობინებენ, ამას წინად ცერამში და მალუკის სხვა კუნძულებზედ დიდი მიწის-ძვრა მომხდარა. მიწის-ძვრა ამ ადგილებში შარშან სექტემბრის 29 და 30-ა მომხდარა. მიწის-ძვრას ზედ მოჰყოლის წყალ-დიდობა და ორივეს აუარებელი ზარალი მიუყენებია მცხოვრებთათვის. ცერამის სამხრეთ ნაპირზედ რამდენიმე სოფელი მიწის-ძვრას სრულიად დაუქცევია, ელპაპოეტიკის სრუტესთან მხოლოდ ორი სოფელი გადარჩენილა. როგორც სწერენ, ამ მიწის-ძვრისაგან 4000 კაცი დაღუპულა. ამათ გარდა 500 ძალიან დაშავებულა თურმე. გადარჩენილნი ისე შეშინებულან, რომ თავიანთ მიწა-ადგილებისთვის სრულიად მიუნებებიათ თავი და სხვაგან გადასახლებულან. საპაროკში 1000 კაცის გვამი უპოვნიათ ნანგრევებ ქვეშ. საშინელ გაჭირვებაში ჩაცვივდნენ თურმე ისინი, ვინც მიწის-ძვრასა და წყალ-დიდობას გადარჩნენ.

---

## ახალი წიგნები

რედაქციამ მიიღო შემდეგი წიგნები:

1, „ლაზარილიო ტორმესელი“, ესპანური მოთხრობა, თარგმანი პეტრე უმიკაშვილისა. წიგნი კარგად არის გამოცემული, შეიცავს 66 გვერდს და ჰღირს ორ შაურად.

2, „Шаорская котловина и ея окрестности“, შედგენილი მკურნალის ი. ი. პანტიუხოვის-მიერ. წიგნი მშვენიერ ქაღალდზედაა გამოცემული, შეიცავს 66 გვერდს და ჰღირს 40 კაპ. წიგნში რამდენიმე კარგი სურათია ჩართული და ბოლოში რუქაცა აქვს.

---

## გამოსადეგი ცნობა

ბალღინჯოს წინააღმდეგ საშუალება: აიღეთ რამდენიმე გარეული წიწაკა, მაგარს არაყში ან ნავთზედ დაასველეთ და წაუსვით იმ ადგილებს, სადაც ბაღლინჯოები ჰბუდობენ. მაშინვე გაწყდებიან.

---

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

3 იანვარი

**პეტერბურგი.** პირველ სესხის ტირაჟი. მოგება შეხვდა შემდეგს ბილეთებს: ორასი ათასი მან. — 18018/5; სამოცდა თხუთმეტი ათასი — 2913/34; ორმოცი ათასი — 4380/45; ოცი ათასი — 5145/5; ათი-ათასი — 7976/11; 14749/4, 2389/26; რვაასი ათასი — 12916/21, 14592/6, 19852/8, 17192/34, 13841/49; ხუთი ათასი — 2823/39, 19375/24, 4050/19, 5315/23, 2988/23, 9779/45, 6661/17, 10987/38 — ათასი მან. 17823/29, 18626/25, 6544/17, 5730/19, 8808/7, 15102/23, 4014/43, 1862/59, 7835/38, 8582/26, 12720/28, 13355/33, 19659/42, 5240/38, 12772/8, 1564/40, 11931/33, 5856/11, 8943/10, 494/14.

---


# განცხადებანი

ქუთაისის გუბერნიის, შორაპნის მაზრის **შავის ქვის მწარმოებელთა კრების საბჭო საყოველთაოდ აცხადებს**, რომ ამ მწარმოებელთა სადგომში, ქ. ქუთაისს, — 1900 წლის 15 იანვარს, შაბათს, შუადღის 12 საათზედ,

## მოხდება საჯარო ვაჭრობა

იჯარით გასაცემად ჭიათურაში მდ. ყვირილაზედ ხიდის გამართვისა და იმ ადგილებში, სადაც შავის ქვის წარმოებაა, გზების შეკეთების საქმისა. მსურველს შეუძლიან კრების საბჭოს სადგომში გასინჯოს ხარჯთ-აღრიცხვა და დაფასების მოწმობა.

(3—6.—2)

---

**1900**

**წელს**

## აკაკის თვიური

# „კრებული“

გამოვა იმავე პროგრამით და პირობებით, როგორც 1899 წელს.

ხელის მოწერა მსურველთათვის

**დ ა წ ყ ე ბ უ ლ ი ა.**

ადრესი: დ. ყვირილა „კრებულის“ რედაქცია და ტფილისი „წერა-კითხვის საზოგადოება“.

---

## ტფილისის საბაღოსნო სკოლა

კისრულობს ხეხილისა და სადეკორაციო ხეების ბაღების მგესი, შედგენასა და გაშენებას, ადგილობრივ და სხვა მემამულეთათვის ხეხილისა და სადეკორაციო ხეების მიწოდებას და საბაღე და სხვა მცენარეთა თესლეულობის გაგზავნას.

(12—6.—6)

---

პეტერბ. სამკურნალო გამგეობის ნება რთვით. დიდი კოლოფი ღირს 5 მან., პატარა კოლ. — 3 მან. და 1 მ. 50 კაპ.




## ახალი საშუალება

თმის გასაზრდელად და გასამაგრებლად, რომელიც აგრეთვე ქერტლსაც აქრობს. შემდეგ, გამოვიდა კიდევ ახალი საშუალება

## „ქურცხის რძე“

სახის გასანაზებლად და გასათეთრებლად. „ქურცხის რძე“ არჩენს მზისაგან დამწვარს კანს, სპობს მუწუკებს, არბილებს კანს. **ფასი ყველასათვის ხელ მისაწვდენია:** დიდი ქილა — 2 მან; პატარა — 1 მან. 50 კაპ. იყიდება ყველა საპარფიუმერო და სააფთიაქო მაღაზიაში. მთავარი საწყობი არის პეტერბურგში, პუშკინის ქუჩაზედ №15, სადგ. 12. საწყობს განყოფილებანი აქვს ტფილისში — ერივნის მოედ. სააფთიაქო საქონლის სავაჭრო ამხანაგობაში და ბაქოში, იყიდება აგრეთვე ხადზედ პოპოვისა და არისტაკოვის სააფთიაქო მაღაზიაში.

ქალაქ გარეთ მცხოვრებთ დაუყოვნებლივ პოსტით გაუგზავნებათ. (100—150—61)

---



როიალები



პიანო



ფის-გარმონიები, სკრიპკები, გიტარები, ფლეიტები, კლარნეტები, ნოტები, სიმები და სხვ. და სხ.



ყოველ ამ მუსიკო იარაღის მეძენა შეიძლება ფასის წვრილ-წვრილად გადახდით.

პრეისკურანტები მუქთად იგზავნება,

კავკასიის ცენტრალი საწყობი სამუსიკო იარაღებისა

ბ. მ. მირიმანიანისა

**музыкальное депо**

**М. МИРИМАНЯНА.**

Тифлисъ. Дворцовая ул.

(24—5.—23)

---

**კახურის ღვინის საწყობი სარდაფი**

# „ქურდღელაური“

აუწყებს საზოგადოებას, რომ იქ ნამდვილი კახური ღვინო მსურველთ დაეთმობათ ბოთლი 15 კ., 20 კ. და სხვა ფასად.

ვედრო 1 მ. 80 კ., თუნგი 60 კ. და სხვა ფასად: მსურველთ შეუძლიანთ მიმართონ ჩუღურეთში, რიყის ქუჩაზედ, გაბაევის სახლში, № 6, ტფილისში.

დავშთები პატივისცემით **ი. ა. ხახუტოვი.**

(2—1)

---

# „ივერია“

გამოვა **1900** წელსაც

**იმავე პროგრამით, როგორც წინად.**

გაზეთის დაბარება შეიძლება შემდეგის ადრესით:

**ტფილისი,**

**„ივერიის“ რედაქცია,**

ნიკოლოზის ქუჩა, 21.

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების“ კანცელარიას სასახლის ქუჩა, ბანკის ქარვასლა და ბაქოში, ხიდჯელის წიგნის მაღაზიაში, ნიკოლოზის ქუჩაზედ, ქალანთაროვის ქარვასლის პირ-და-პირ.

**ტელეფონი № 227.**

სატელეგრ. ადრესი:

**ТИФЛИСЪ.** Редакція „ИВЕРІЯ“.

შეღავათი წლიურ ხელის-მომწერთათვის: ვინც გაზეთს ამ თავით მთელის წლით დაიბარებს, იმას შეუძლიან წლის ხელ-მოსაწერი ფული ნაწილ-ნაწილად შემოიტანოს ამგვარად: ხელის-მოწერის დროს 3 მან., პირველ მარტს — 2 მან., პირველ მაისს — 3 მან. და პირველ სექტემბერს — 2 მან. სოფლის მასწავლებელთ გაზეთი წელიწადში 8 მან. დაეთმობათ, ნახევარის წლით 4 მან.